

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლები

ნინო ნიშნიანიძე, სამართლის დოქტორი
ნანა ედიშერაშვილი, თსუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა ამტკიცებს ქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებასა და ქვეყნის ძირითად მიმართულებას - „დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“

აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფოს საყრდეს, საფუძველს და მუდმივ მიზანს, ფართო გაგებით, წამოადგენს თავისუფალი ადამიანი-ინდივიდი, რომლისთვისაც აღიარებული უფლებები და თავისუფლებები გარატირებულია სახელმწიფოს მხრიდან.

აქედანვე მომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ცნება. ერთი მხრივ თავად არ შეზღუდოს, ხოლო მეორე მხრივ დაიცვას ადამიანის უფლებები მესამე პირთა მიერ მათში ჩარევისაგან.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ქმნის რიგ ქვეპრინციპებს, რომლებიც გამყარებულია საქართველოს შიდა საკანონმდებლო სივრცეში. მათ შორისაა - თავისუფალი ეკონომიკის პრინციპი. რა ქმნის თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას თუ არა მხარეთა მიერ უთიერთმფარავი ნების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც ეფუძნებიან მოთხოვნისა და მიწოდების სტაბილიზაციასა და ბალანსს. და მაშინ როდესაც ერთი მხარე მეორეს სთავაზობს ერთი მხარის მიერ დადგენილ სახელშეკრულებო სტანდარტულ პირობებს, ვინ არის პასუხისმგებელი მეორე მხარის ზემოთხსენებული პრინციპების საფუძველზე წარმოშობილ უფლებათა დაცვაზე? ვინ უზრუნველყოფს მისი, როგორც მომხმარებლისა თუ მისი, როგორც ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებათა დაცვას?

30 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ე. დევიდ სავსონმა დაადგინა, რომ იმ დროისთვის არსებულ ხელშეკრულებათა 99% არ წარმოადგენდა პლატონის იდეალურ, მხარეთა შეთანხმების შედეგად მიღებულ პირობების შემცველ დოკუმენტს, არამედ ხელშეკრულებების უმეტესობა შეიცავდა ერთი მხარის მიერ, წინასწარ დადგენილ ნორმებს, რომლებიც შემდგომში ეცნობოდა მეორე მხარეს. დროთა განმავლობაში, სახელშეკრულებო პირობათა ფარგლებში, კი კიდევ უფრო გაიზარდა „დამნეხებელი“ მხარის დომინანტობა მის „მიმღებ“ მხარეზე.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სწორედ

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და მათი ბათილობის საფუძვლები.

სტანდარტული პირობების სამართლებრივი ანალიზი

ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამართლებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე მიზეზი, რაც განაპირობებს არსებითი პირობების არასტაბილურ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში დადგენასა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის რისკებს:

1. ხელშეკრულების მეორე მხარე არ ეცნობა სტანდარტულ პირობებს მიუხედავად გაცნობის შესაძლებლობისა;

2. გაცნობის მიუხედავად არ შეუძლია ცვლილებები შეიტანოს მასში;

3. არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ხელშეკრულებაში უსამართლო სტანდარტული პირობების განსაზღვრას ხელშეკრულების დადებამდე და არა ხელშეკრულების დადების შემდეგ მისი ბათილად ცნობით;

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, სტანდარტული პირობების დეფინიცია მოიცავს ერთი მხარის მიერ წინასწარ დადგენილ სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც ე.წ ტაკე იტ ორ ლეავე იტ (მიიღე ან დატოვე) მოქმედებს მომხმარებელზე, რომელიც ან იღებს მხარის მიერ დადგენილ სტანდარტულ პირობებს ან სრულიად უარს ამბობს ხელშეკრულების შედეგად გათვალისწინებული პროდუქტის/ მომსახურების მიღებაზე. ვინაიდან ხელშეკრულების ნამდვილობისთვის მეორე მხარის მიერ მისით გათვალისწინებული პირობების მოწონება და ნების გამოვლენას საჭიროებს, სტანდარტული პირობებით განსაზღვრულ ხელშეკრულებებს უცხოურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ, როგორც „თანხმობის ხელშეკრულებები“, რომლებიც განიხილება არა როგორც ახალი ხელშეკრულების წარმოშობა, არამედ დადებულ ხელშეკრულებაზე თანხმობის გამოვლენა. („contract of adhesion-Nothing that a form contract is a symptom of adhesion but not its “essence”“)

არსებითი პირობების შედგენით ხელშეკრულების მხარეს, ამ შემთხვევაში გამყიდველს, ეძლევა შესაძლებლობა შექმნას „საკუთარი კანონმდებლობა“, რომლის ფარგლებშიც განახორციელებს კონკრეტული საქმის წარმოებას. რაც შეეხება ხელშეკრულების მეორე მხარეს-მომხმარებელს, იგი ეცნობა მოცემულ პირობებს, ერთანხმება მათ და ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული ნორმის ბუნდოვანების მიუხედავად, თანხმდება ხელშეკრულების დადებას.

მსგავსი ტიპის ხელშეკრულებები სასამართლო დავის შედეგად ხშირად მიიჩნევა არაკეთილსინდისიერ-

ების პრიციპის დარღვევით მიღებულ ხელშეკრულებად.

ზოგიერთი მომხმარებელი კი ხელმძღვანელობს ე.წ. ყველაზე თვალსაჩინო პირობით- ფასით, რაც ხშირად იწვევს პირობების არცოდნის ფარგლებში გარიგების დადებას.

ვინაიდან არსებით პირობებს განსაზღვრავს ერთი მხარე, ლოგიკურია არის საფრთხე აღნიშნული პირობების უსამართლო, არათანაბრად დადგენისა. როგორც წესი, გამყიდველი/მიმწოდებელი ყოველთვის ცდილობს ხელშეკრულებით დაადგინოს იმგვარი სტანდარტული პირობა, რაც შექმნის გარკვეულ უპირატესობას მომხმარებელთან შედარებით. სწორედ ამ მიზეზით, მეცნიერთა ნაწილი განმარტავდა, რომ აუცილებელი იყო სასამართლოს ჰქონოდა ხელშეკრულებაში განსაზღვრული სტანდარტული პირობების გადამოწმების შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავდა ე.წ. თვალსაჩინო (შალიენტ ატრიბუტეს) და არა თვალსაჩინო (ნონ-შალიენტ ატრიბუტეს) ელემენტებს. აღნიშნული უფლებამოსილების საფუძველზე სასამართლოს ექნებოდა შესძებლობა, ჯერ კიდევ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ბათილად ეცნო ისეთი პირობები, რომლებიც შეიცავდა არათვალსაჩინო, გონივრული განმარტების ფარგლებში არააღქმად, ბუნდოვან ელემენტებს. აღნიშნული პოზიციის საპირისპიროდ, მეორე მხარე გასაზღვრავდა, რომ კერძო სამართალში მოქმედი სახელშეკრულები თავისუფლების პრინციპი არ აძლევდა სახელმწიფოს ამგვარი შეზღუდვების დაწესების უფლებამოსილებას. ამასთანავე, ქვეყნების შიდა კანონმდებლობა ისედაც ადგენდა სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძველებს, რაც გამორიცხავდა ამგვარი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობას.

2. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ქართული კანონმდებლობის მიხედვით

2.1 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება და ადგილი სამოქალაქო კანონმდებლობაში

დღეისათვის, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ყველაზე გავრცელებული სახე-სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რომლის ძალითაც მხარეებს ერთნაშეთის წინაშე წარმოეშობათ უფლება-ვალდებულებები.

სამართლებრივ დოქტრინაში ხელშეკრულება, ფართო გაგებით, წარმოადგენს მხარეთა შორის დადებულ ნებისმიერ გარიგებას, რომლის ნამდვილობაც გამტკიცებულია მხარეთა მიერ კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ მიმართული ორმხრივი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით და რომლითაც ხელშეკრულების სუბიექტებს, კერძო პირებს, ეძლევათ საშუალება, თვითინვე მოანსერიგონ სახელშეკრულებო ურთიერთობის პირობები, რაც გულისხმობს მათ მიერ თავისუფალი ნების გამოვლენას კონკრეტული ვალდებულების ტვირთისა თუ უფლებით სარგებლობის განსაზღვრისას.

სამოქალაქო-სამართლებრივ კანონმდებლობაში ცნობილია ხელშეკრულების განხვავებული სახეები, რომელთა თავისებურებასაც მათი მიზნობრიობა და შესრულების განსაკუთრებული ბუნება წარმოადგენს. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები დოქტრინაში ვალდებულების წარმოშობის არა ჩვეულებრივ, არამედ სპეციფიკურ საფუძველს განეკუთვნება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველ კარში, სახელშეკრულებო სამართლის პირველი ნაწილის მე-2 თავშია მოთავსებული.

მისი სპეციფიკურობა გამოწვეულია თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებით, რომელთა წარმოშობაც ეკონომიკურ და სამრეწველო ურთიერთობათა განვითარებისა და მათი რეგულირების აუცილებლობამ გამოიწვია. XXI საუკუნეში იშვიათია ბიძნესი, რომელიც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსებობის გარეშე ნორმალურ და გამართულ საქმიანობას შეძლებს. განსაკუთრებით მაღალია ნორმის გამოყენება სამომხმარებლო ურთიერთობებში.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა 342-ე მუხლის პირველ ნაწილში ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს განმარტავს, როგორც- „წინასწარ ჩამოყალიბებულ, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულ პირობებს, რომელთაც ერთი მხარე(შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი ნესების დადგენა“.

მოცემული განსაზღვრება შეგვიძლია დავყოთ ცნების შემდეგ ელემენტებად:

სახელშეკრულებო პირობები;

წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები;

მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები;

პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს;

პირობები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი ნესების დადგენა.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნამდვილობისათვის საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილ წინაპირობათა კუმულაციურად არსებობა.

1. სახელშეკრულებო პირობები

საქართველოს სამოქალაქო დოქტრინით დადგენილია ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება. კერძოდ, მხარეებს შეუძლიათ მათთვის სასურველი ხელშეკრულება გააფორმონ როგორც ზეპირად, აგრეთვე წერილობით. იგივე მექანიზმი ვრცელდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გაფორმებაზეც და მათი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ქცევისათვის არ არის იმპერატიული ხელშეკრულების წერილობითი ფორმით არსებობა. იმისათვის, რომ მსგავს ურთიერთობაში ამ უკანასკლენელ პირობათა ლეგიტიმურობა დადგეს, საჭიროა, ხელშეკრულების დადების მომენტში, მეორე მხარისათვის თვალსაჩინო იყოს სტანდარტულ პირობათა არსებობა.

რაც შეეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობათა სახელშეკრულებო ხასიათს, ის მხარეთა შორის, ამ ინტიტუტის გამოყენებით, ვალდებულების წარმოშობაში გამოიხატება.

2. წინასწარ ჩამოყალიბებული პირობები

კანონის მოცემული დებულება განსაზღვრავს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობათა სპეციფიკურ ბუნებას. კერძოდ, ეს პირობები დგინდება არა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, არამედ ერთ-ერთი მხარის მიერ მათი წინასწარ ჩამოყალიბებითა და შემდგომში, მეორე მხარისათვის შეთავაზებით. აგრეთვე, განსხვავებით ჩვეულებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან, ამ შემთხვევაში, მეორე მხარე განეუთვება არა ვინაობა განსაზღვრულ, არამედ განუსაზღვრელი რაოდენობის სუბიექტთა წრეს, რომელთაც ფორმდება სტანდარტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ხელშეკრულება და რომელსაც ეს მხარე იღებს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. სწორედ ამ მექანიზმით ხორციელდება თანამედროვე საბანკო თუ სხვა სამეწარმეო ხასიათის ურთიერთობათა ჩამოყალიბება.

3. მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნების კიდევ ერთ განსაკუთრებულ ელემენტს წარმოადგენს მათი მრავალჯერედად გამოყენების მიზანი. რაც გულისხმობს იმას, რომ პირობები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ნებისმიერი სუბიექტისათვის არის ერთნაირი, სტანდარტული, და სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოებისას, მიმართულია სხვადასხვა ჰონტრაჰენტებთან მათი მრავალჯერედად გამოყენებისაკენ. შესაბამისად, ისინი აბსოლუტურად ყველა მომხმარებლისათვის საერთოა და ერთნაირ პირობებს მოიაზრებს.

4. პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს

მოცემული დებულება ხაზს უსვამს კანონის ამ კონკრეტული დანაწესის განსაკუთრებულობას. კერძოდ, განსხვავებით ჩვეულებრივი სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან, რომლის დროსაც, მხარეები, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ადგენენ ხელშეკრულების პირობებს, ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო პირობების დადგენა ხდება ერთი მხარის მიერ, რომელიც სამოქალაქო დოქტრინაში შემთავაზებლად იწოდება და რომელიც, იგულისხმება, რომ თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია მსგავსი სამართლებრივი ლეგიტიმაციით ისარგებლოს. შესაბამისად, მეორე მხარე, კონტრაჰენტი, მოკლებულია უფლებას, გავლენა მოახდინოს ხელშეკრულების შინაარზე. მისი უფლებამოსილების საზღვრები შემოიფარგლება გამზადებულ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის ნების გამოვლენით ან მასზე უარის თქმით, რასაც, უცხოურ ლიტერატურაში, როგორც უკვე აღინიშნა, ტაკე იტ ორ ლეავე იტ პრინციპი ეწოდება. ეს უკანასკნელი მდგომარეობა, ერთგვარად იცავს კონტრაჰენტს მისი ნების სანაღმდეგოდ რაიმე

სახის გარიგებაში მიიღოს მონაწილეობა და წარმოეშვას მისთვის არასურველი ვალდებულება. შესაბამისად, კანონი ნების თავისუფლებას არ უზღუდავს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს და საშუალებას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე.

5. პირობები, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვლელი ნესების დადგენა

ცნების ეს უკანასკნელი ელემენტი ნათლად წარმოაჩენს სახელშეკრულებო ურთიერთობის ამ ნაწილის თავისებურებას. სამოქალაქო-სამართლებრივი კანონმდებლობისათვის თითქმის შეუძლებელია ყველა სახის ურთიერთობის მოწესრიგება და კოდიფიცირება. შესაბამისად, სამართლებრივი მართლწესრიგის ბალანსის შენარჩუნებისათვის, კანონმდებელი უშვებს ისეთი ხელშეკრულებების არსებობას, რომელთა ხასიათითაც განპირობებული იქნება კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ურთიერთობის მოწესრიგება, ან მათი შემცვლელი ნესების დადგენა. ამ დებულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე ისეთი ნორმების დადგენა, რომელთაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და რომლებიც, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ კანონს, სხვა შემთხვევაში, ეს დებულებები იმთავითვე ბათილი იქნება.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნების ელემენტების ჩაშლით დადგინდა, რომ მსგავსი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობები წარმოიშობა ძირითადად სამეწარმეო ურთიერთობების დროს და მიმართულია ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე ისეთი ნორმების დადგენა, რომელთაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და რომლებიც, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ კანონს, სხვა შემთხვევაში, ეს დებულებები იმთავითვე ბათილი იქნება.

ერთი მხარის, შემთავაზებლის, მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობების, რომლებიც, ამავე დროს, უნდა ახდენდნენ კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვლელი ნორმების დადგენას, შეთავაზებით მეორე მხარისათვის.

ერთი შეხედვით, ამ სახის ურთიერთობებში პრობლემა არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან, სამოქალაქო კანონმდებლობა იმპერატიულად მოითხოვს სტანდარტული პირობების გაცნობას კონტრაჰენტისათვის, მაგრამ მოცემული ნორმის საფუძველზე სავსებით შესაძლებელია შემთავაზებელმა რისკის მთელი ტვირთი კონტრაჰენტზე გადაიტანოს. ამიტომ, საქალაქო კანონმდებლობა, სსკ-ის 345-ე მუხლით, კონტრაჰენტის სასარგებლოდ განმარტავს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ისეთ ტექსტს, რომელიც ბუნდოვანია. აგრეთვე, სსკ-ის 342-ე მუხლის მე-3 ნაწილით ერთგვარად აზღვევს მეორე მხარეს, როდესაც განმარტავს, რომ:

“უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.”

საკანონმდებლო დოქტრინით აგრეთვე გამო-
წვეულია ხელშეკრულების თავისუფლებისა და
ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნებები,
ვინაიდან, ხელშეკრულების სტანდარტული პირობე-
ბის მოდელი გამოიყენება მასში რაიმე ცვლილებების
შეტანის საშუალებას, განსხვავებით ჩვეულებრივი
ხელშეკრულებისაგან, რომლის ფარგლებშიც, მხა-
რებს ენიჭებათ ლეგიტიმური უფლებამოსილე-
ბა, თავიანთი ინტერესების მიხედვით, შეცვალონ
ხელშეკრულების პირობები. სსკ-ის 342-ე მუხლის
მე-2 ნაწილიც სწორედ ამიტომ მიუთითებს, რომ :

“თუ ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ
დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩ-
ნევა სტანდარტულ პირობებად”, რადგან არ გვექნება
სახეზე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
ცნების ელემენტთაგან - არც ამ პირობების წინასწარ
ჩამოყალიბების აუცილებლობა, არც ერთი მხარის
მიერ მეორე მხარისათვის ამ პირობების შეთავაზება
და არც მეორე მხარის მონაწილეობის დაუშვებლო-
ბა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ში-
ნაარსის შედგენაში.

2.3 ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნამდვილობის წინაპირობები

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნამ-
დვილობისათვის, გარდა 342-ე მუხლის 1-ლი ნაწი-
ლით დადგენილ ცნების ელემენტთა კუმულაციურად
არსებობისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსკ-ის
343-ე მუხლის დანაწესები, კერძოდ ხელშეკრულებ-
ის სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა
ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, თუ:

ა) შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების
ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუ-
თითებს ამ პირობებზე

ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა
აქვს გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და , თუ თან-
ახმა, მიიღოს ეს პირობები.

კანონის მოცემული დათქმებიც საჭიროებენ კუ-
მულაციურად არსებობას და უზრუნველყოფენ კონ-
ტრაჰენტის მიერ ინფორმაციის მიღების თავისუ-
ფლებასა და მისი შეცდომაში შეყვანის პრევენციას.

სსკ-ის 343-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაკუთრე-
ბულ მგომარეობას აწესებს მეწარმე კონტრა-
ჰენტებზე, მეორე მხარეზე , და განსაზღვრავს,
რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ნამდვილო-
ბისათვის საჭიროა ამ უკანასკნელის მიერ საქმიან
ურთიერთობაში აუცილებელი გულისხმიერების
გამოჩენა. მოცემული დებულების მიზანი სამეწარმეო
ურთიერთობის გამარტივებაა და გულისხმობს ისეთ
შემთხვევებს, რომდესაც კონტრაჰენტს საქმიანი ურ-
თიერთობის ხასიათი პირდაპირ ავალდებულებს მის
მიერ გულისხმიერების გამოჩენას, რაც ნიშნავს იმას,
რომ ის ჩვეულებრივ მომხმარებელზე უფრო მეტი
პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ხელშეკრულებ-
ას, ვინაიდან მსგავსი ხასიათის დებულებები,

სწორედ სამეწარმეო ურთიერთობების დროს ხდება
საჭირო და იგულისხმება, რომ მეწარმე სუბიექტის
ინფორმირებულობა ჩვეულებრივ მომხმარებელთან
შედარებით გაცილებით მაღალია.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა,
344-ე მუხლის თანახმად, დაუშვებლად მიიჩნევა
ისეთი დებულებების შერაცხვას ხელშეკრულების
სტანდარტულ პირობებად, და, შესაბამისად, მათ
გადაქცევას ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად,
რომლებიც ფორმის მიხედვით იმდენად უჩვეულოა,
რომ გამოიყენება მეორე მხარის მიერ მათ გათ-
ვალისწინებას. აქ ძირითადად მოიაზრება ისეთი
დებულებები, რომლებიც არ არის სამოქალაქო ბრუნ-
ვაში მასობრივად მიღებული.

3. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა

საქართველოს სამოქალაქო დოქტრინა, უპირვე-
ლეს ყოვლისა, ბათილად მოიაზრებს ისეთ გარიგე-
ბებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კეთილსინდის-
იერების პრეზუმფციას, ვინაიდან, ამ დროს საქმე
გვაქვს მხარის მიერ სამართლებრივად დასაძრახი
ქმედების გამოვლენასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს
უშლის კანონის უზენაესობას. სწორედ, ამიტომ,
ხელშეკრულების სტანდარტული პირობების თავშიც,
კანონი 346-ე მუხლით ითვალისწინებს ბათილობას იმ
სტანდარტული პირობებისა, რომლებიც ნდობისა და
კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოა
და საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.
ამ მუხლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ
იგი ვრცელდება არა მხოლოდ, ფიზიკურ, არამედ
იურიდიულ პირებზეც, რითაც განსხვავდება ის 347-ე
და 348-ე მუხლების დაცვის საგნისაგან, რომელსაც
მხოლოდ ფიზიკური პირი წარმოადგენს. კანონმდებ-
ლის მიერ საკითხის ამგვარი გადანაცვლება დაკავშირე-
ბულია იმ იდეასთან, რომ იურიდიულ პირებს, თავი-
ანთი საქმიანობიდან გამომდინარე, გაცილებით მეტი
ინფორმაცია აქვთ სახელშეკრულებო ურთიერთობის
ამ ნაწილზე, ვიდრე ფიზიკურ პირებს, რის გამოც,
მათ, სახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე,
მოეთხოვებათ განსაკუთრებული გულისხმიერების
გამოჩენა .

ვინაიდან, ხელშეკრულების სტანდარტული
პირობებით წარმოებული ურთიერთობები სპეციფი-
კური ხასიათისაა და ამ ურთიერთობების ერთერთ
სუბიექტს შეადგენს მეწარმე, ხოლო მეორე სუბ-
იექტად, ძირითად შემთხვევებში, გვევლინება ფიზი-
კური პირი, რომელსაც, როგორც უკვე არაერთხ-
ელ აღინიშნა, არ გააჩნია სამეწარმეო საქმიანობის
შესახებ სპეციალური ინფორმაცია, კანონმდებელი,
პრევენციის სახით, ბათილად აწესებს ისეთ დე-
ბულებებსა და პირობებს, რომლებიც უარყოფით-
ად იმოქმედებენ ხელშეკრულების მეორე მხარის
სამართლებრივი უფლებამოსილების თავისუფლად
განხორციელებაზე და დაარღვევენ მათ თანასწორო-
ბის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში.
ამიტომ, სსკ-ის 347-ე და 348-ე მუხლები ადგენენ

ბათილობის საფუძვლებს ფიზიკურ პირებსა და მენარმეებს შორის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხილული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლების კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად:

დებულებები, რომლებიც ვადებს უკავშირდება;

დებულებები, რომლებიც ვალდებულების შესრულებას უკავშირდება;

დებულებები, რომლებიც თანხებს უკავშირდება;

დებულებები, რომლებიც შემთავაზებლის პასუხისმგებლობას უკავშირდება;

დებულებები, რომლებიც ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებების შეზღუდვას უკავშირდება

1.1 წინადადების მიღებისა და შესრულების ვადები

დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს შეთავაზებული წინადადების მიღების ან უარყოფის ანდა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადებს.

აქ იგულისხმება წინადადების მიღებისა და შესრულების ვადები. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემთავაზებელი ადგენს არაგონივრულ ვადებს წინადადების მიღების, უარყოფის ან სამუშაოს შესრულების შესახებ, რაც გამოიხატება საკუთარი თავისათვის შეუსაბამოდ ხანგრძლივი ან კონტრაჰენტისათვის აშკარად მცირე ვადის დადგენაში. სამოქალაქო კანონმდებლობა იცავს ხელშეკრულების მეორე მხარეს, რადგან დაუშვებელია სამოქალაქო ურთიერთობებში რომელიმე მხარის მიერ პრივილეგირებული მდგომარეობით სარგებლობა. აღნიშნული დებულების მიზანი სწორედ კონტრაჰენტის უფლების დაცვაა. ვინაიდან, ეს უკანასკნელი მოკლებულია ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაში მონაწილეობას, ეს არ უნდა გახდეს შემთავაზებლის მიერ თავისი უფლების ბოროტად სარგებლობის საშუალება.

1.2 ვადები ვალდებულების დარღვევისას

დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს.

ამ ნორმის კანონში გათვალისწინება ემსახურება შემსრულებლის მიერ კანონთან შეუსაბამო ქმედების განხორციელების პრეზუმფციას, კერძოდ, დაუშვებელია, რომ მხარემ საკუთარი ვალდებულების შესრულებისათვის დაადგინოს იმაზე ხანგრძლივი ვადა, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებს, ან, მეორე შემთხვევაში, დაანესოს შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადა, რომელიც სცილდება გონივრული ვადის ფარგლებს და რომელიც პირდაპირ მოქმედებს კონტრაჰენტის უფლებათა დარღვევაზე.

1.3 ფასების მოკლევადიან მომატება

დებულება, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას გაუმართლებლად მოკლე ვადებში.

კანონი იცავს კონტრაჰენტს იმ შემთხვევაში, როცა შემთავაზებელი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად განსაზღვრავს ისეთ დებულებას, რომელიც გაუმართლებლად მოკლე ვადაში ფასის მომატებას ითვალისწინებს და ამ დებულებას იმთავითვე ბათილად მიიჩნევს.

მოცემულ ვითარებაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ სტანდარტული პირობები თავისი შინაარსით მეტნაკლებად მდგრადია და არ არის სამომავლო ცვლილებებისაკენ მიმართული. შესაბამისად, კონტრაჰენტი, ხელშეკრულების დადების მომენტში, თანხმდება მისთვის მისაღებ პირობებს და მის ინტერესებში შედის ამ პირობების სტაბილურობაც. რა თქმა უნდა, დასაშვებია ხელშეკრულების ფასის ცვლილება, ვინაიდან საბაზროეკონომიკური მდგომარეობა არ არის სტატიკური და მუდმივი ცვალებადობით ხასიათდება, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საკითხი ეხება გაუმართლებლად მოკლე ვადაში ფასის მომატებას, რაც იმთავითვე აშკარაა და მიმართულია შემთავაზებლის პირადი ინტერესებისაკენ. აქედან გამომდინარე, დანაწესი, რომელიც ასეთი სახის მოქმედების შესაძლებლობას იძლევა უდავოდ ბათილია.

2. ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დებულებები

2.1 ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა

დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე

სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობის მთავარი საფუძველი, სწორედ ვალდებულებაა, რომელიც სსკის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების პრეზუმფციით გარანტირებული ხდება შესრულების შესაძლებლობა.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა, თუმცა ამ უფლებამოსილებით სარგებლობას თან უნდა ახლავდეს კანონთან შესაბამისი, ობიექტური მიზეზები, თანაც, ვინაიდან სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ამოსავალი წერტილი პირთა თანასწორობაა, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში აუცილებელია მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებაც და მათთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით აღჭურვა. როდესაც მხარე ხელშეკრულებაში უთითებს ისეთ ნორმას, რომელიც იმთავითვე ეწინააღმდეგება კან-

ონის დანაწესს, რა თქმა უნდა, მისი ბათილობა გარდაუვალია.

2.3 შესრულებაზე უარის თქმა

დებულება, რომლითაც იზღუდება ან გამოირიცხება:

ა. შესრულებაზე უარის თქმა, რომელიც ხელშეკრულების მხარესსამკანონისთანახმად დაქვს

ბ. ხელშეკრულების მხარისს უფლება, უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე ემორეგება მხარესსარშეუსრულება დაკისრებული ვალდებულება.

კანონის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია მხარეთა უფლებამოსილებების ლეგიტიმურად და შეუფერხებლად განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია 2 მომენტი:

1. მხარის მიერ შესრულებაზე უარის თქმის უფლება

2. მხარის მიერ შესრულებაზე უარის თქმის უფლება, მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას.

კანონმდებლობაში მხარის მიერ ორივე უფლებამოსილებით სარგებლობა გარანტირებულია და დაუშვებელია მეორე მხარის მიერ ისეთი შეზღუდვის ამ აკრძალვის დანესება, რომელითაც გამოირიცხება კანონით მინიჭებული უფლების გამოყენება. თუ კანონი ითვალისწინებს, შესაბამისი საფუძვლით, შესრულებაზე უარის თქმას, მაშინ, მხარეს აქვს მისი გამოყენების უფლება.

რაც შეეხება შესრულებაზე უარს, მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას, ეს არის მხარის დამზღვევი უფლება, რომელიც შესაბამისობაშია მხარეთა თანასწორობის პრინციპთან და დაუშვებელია მისი აკრძალვა.

აქედან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში, შემთავაზების მიერ დანესებული დებულებები იქნება ბათილი.

2.4. გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ;

ვადის დანიშვნა დებულება, რომლითაც შემთავაზებელი თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული იმ მოვალეობისაგან, რომ ხელშეკრულების მხარე გააფრთხილოს ან დაუნიშნოს მას ვადავალდებულების შესასრულებლად.

დაუშვებელია, შემთავაზების მიერ ისეთი ნორმის გათვალისწინება, რომლითაც გამოირიცხება, რომ შემსრულებელი თავისუფლდება მეორე მხარისათვის გაფრთხილების ან დამატებითი ვადის დანიშვნისაგან. ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსი, 405-ე მუხლში, პირდაპირ ითვალისწინებს ამ დანაწესის საპირისპირო დათქმას. შესაბამისად, დაუშვებელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით კანონით გათვალისწინებული რეგულირების შეცვლა.

3. თანხებთან დაკავშირებული დებულებები

3.1. განუხილავი ხარჯების შეუსაბამოდ მაღალ ანაზღაურება

დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს ხელშეკრულების მეორე მხარეს მოსთხოვოს განუხილავი ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება.

სამოქალაქო კანონმდებლობა როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აგრეთვე სხვა ვითარებებშიც, ორიენტირებულია მხარეთა თანასწორობაზე და დაუშვებლად მიიჩნევს რომელიმე მხარის მიერ თვითნებურად, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე მორგებული, მოქმედებების განხორციელებას. სწორედ ამას მოწმობს სასამართლო პრაქტიკა, სადაც მრავლად მოიძებნება მაგალითები, როდესაც სასამართლოს შეუმცირებია შეუსაბამოდ დიდი ხარჯები მეორე მხარის სასარგებლოდ. აღნიშნული ნორმის მიზანია, არ მოხდეს ისეთი დებულების სტანდარტულ პირობად გადაქცევა, რომელიც პირდაპირ აზიანებს მეორე მხარეს, კერძოდ, იწვევს მისი ფინანსების არამართლზომიერად შემცირებას. შემთავაზებლის მიერ შეთავაზებული სამუშაო უნდა ითვალისწინებდეს საერთო ეკონომიკურ ფონსა და ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. შემთავაზებლის მიერ დაუშვებელია, ისეთი ანაზღაურების დანესება, რომელიც ამკარად არ შეესაბამება შესასრულებელი სამუშაოსათვის გათვალისწინებულ გონივრულ თანხას.

3.2. ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა

შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სამოქალაქო დოქტრინა მიმართულია მხარეთა შორის თანასწორობის პრინციპის დაცვაზე, რაც გამოირიცხავს შემთავაზებლის მიერ ისეთი დებულების გათვალისწინებას ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად, რომელიც მოიცავს ზიანის ანაზღაურებისათვის არარეალურად დიდ ოდენობის თანხას.

4. შემთავაზების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დებულებები

4.1. პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო

დებულება, რომელიც გამოირიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით ვალდებულების დარღვევის გამო.

სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მხარეს ენიჭება როგორც განზრახი ქმედების, აგრეთვე გაუფრთხილებლობისათვის, რასაც ითვალისწინებს სსკ-ის 395-ე მუხლის

1ლი ნაწილი. ამასთან, უხეში გაუფრთხილებლობა თითქმის ყველა შემთხვევაში იწვევს პასუხისმგებლობის დადგენას. შესაბამისად, შეთანხმება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კანონის დანაწესთან, იმთავითვე ბათილია.

4.2. საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ნივთის ნაკლის გამო.

ასევე ბათილიაა დებულებები, რომლებიც, კანონით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებით, ზღუდავენ ახალწარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.

კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ნივთის ნაკლის გამო შემთავაზებლის პასუხისმგებლობის შეზღუდვას, ვინაიდან, ვალდებულების პრეზუმფცია იმტერატიულად მოითხოვს, რომ იგი უნდა შესრულდეს ჯეროვნად. ამ დებულებით, კონტრაქტის ერთმევა უფლება პრეტენზია წაუყენოს მეორე მხარეს ნაკლოვანი ნივთის არსებობის შემთხვევაში, რაც დაუშვებელია, ვინაიდან, ამ უფლებამოსილების გამოყენება მას კანონით აქვს მინიჭებული.

5. ხელშეკრულების მეორე მხარის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული დებულებები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის პირობა

დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს შეცვალოს შეპირებული სამუშაო ან გადაუხვიოს მას, თუ ამის შესახებ შეთანხმება მიუღებელია ხელშეკრულების მეორე მხარისათვის.

ვინაიდან, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკური სახეა, რომლის მიხედვითაც, ერთი მხარის მიერ წინასწარ ხდება ნორმების შემუშავება და მეორე მხარე ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაში მონაწილეობას არ იღებს და, ხელშეკრულების დადების ამ ნაწილში, მხოლოდ გამზადებულ პირობებზე აწერს ხელს, ლოგიკას არ იქნება მოკლებული, თუ კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც დააზღვევს კონტრაქტს და დაიცავს მას შემთავაზებლის მიერ ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანისაგან.

ამ დანაწესის არსებობა ისევ და ისევ ვალდებულების პრეზუმფციით არის გამყარებული და დაუშვებელია, ხელშეკრულების ერთმა მხარემ თვითნებურად შეიტანოს ცვლილებები მასში და დაარღვის მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი.

5.2. ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა

დებულება, რომლითაც ხელშეკრულების მხარეს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავოაწან სასამართ-

ლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა.

სამოქალაქო კანონმდებლობისათვის კარგად არის ცნობილი ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ინსტიტუტი, რომლის ძალითაც ერთერთი მხარეს შეუძლია ცალმხრივად თავისი მოთხოვნა მეორე მხარის მოთხოვნის სანაწინააღმდეგოდ გაქვითოს. მოცემულ შემთხვევაშიც, კანონმდებლის ამოსავალი წერტილი კონტრაქტის დაცვაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი შემთავაზებელს მთლიანად არ უკრძალავს ამ უფლების შეზღუდვას, თუმცა, იგი ზღუდავს ამ უფლებას სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების მიმართ.

5.3 ძირითადი ვალდებულების შესრულების დარღვევა დებულება, რომლითაც შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევისას:

ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ან ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან „ვ“ ქვეპუნქტის სანაწინააღმდეგოდ ეზღუდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

აღნიშნულ შემთხვევაში, საქმე ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც კონტრაქტის ვარდება კაბალურ მდგომარეობაში, რადგან მას ესპობა კანონით მინიჭებული შესაძლებლობა, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მოვალე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რასაც ითვალისწინებს სსკის 405ე მუხლის მე2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

5.4 უკავშირდება ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას ინტერესის დაკარგვას:

დებულება, რომელიც შემთავაზებლის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მეორე მხარეს ართმევს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მთლიანი ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას დაეკარგა ინტერესი ნაწილობრივი შესრულებისადმი.

მოცემული დებულება ეწინააღმდეგება როგორც სამოქალაქო კოდექსის 405ე მუხლის 1ლი ნაწილის მე3 წინადადებას, ისე 661ე და 665ე მუხლების მოთხოვნებს და აშკარად ზღუდავს კონტრაქტის უფლებებს, შესაბამისად მისი გათვალისწინება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად დაუშვებელია.

3.2 სამართლებრივი შედეგები

ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობას სახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე, შეიძლება დადგეს თვითონ ხელშეკრულების ბათილობის საკითხიც.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა თავის თავში არ მოიაზრებს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობასაც და იმ შემთხვევაში, თუ დადგა მათი ბათილობის საკითხი, ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი სამართლებრივი ძალის მქონეა. თუ სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილს მოეწოდება, აღმოვაჩენთ, რომ 62-ე მუხლი ითვალისწინებს გარიგების ნაწილის ბათილობას და ადგენს:

გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, დადგინდეს, როგორია კონტრაქტის ინტერესები მთლიანად ხელშეკრულების მიმართ. ხშირ შემთხვევაში, კონტრაქტი თავად არის დაინტერესებული ხელშეკრულების შინაარსითა და მისი ძალაში შესვლით, ამას ემატება ისიც, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსი სწორედ ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვაა, ამიტომ, ლოგიკას არ არის მოკლებული კანონმდებლის მიერ ასეთი დანაწესის დადგენა და ხელშეკრულების ძირითადი ნაწილის კანონიერ ძალაში დატოვება.

4. ქართული და უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი

4.1 მიმართლება BGB-სა და გერმანულ კანონმდებლობასთან

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიმართებით ქართული კანონმდებლობა მეტწილად გერმანული კანონმდებლობის მკვეთრი გავლენით ხასიათდება.

გერმანიის სასამართლოებმა თავდაპირველად შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებით დაიწყეს ხელშეკრულებაში განსაზღვრული უსამართლო სტანდარტულ პირობათა კონტროლი, ხოლო შემდგომში ისინი დარეგულირდნენ აქტით, რომელიც განსაზღვრავდა ხელშეკრულების ზოგად ფორმას არსებითი პირობებთან მიმართებით (Allgemeine Geschäftsbedingungen), ხოლო 2002 წლიდან ისინი ინტეგრირდა სამოქალაქო კოდექსში.

რეფორმის ძირითად საფუძვლად დაედო ევროკავშირის დირექტივა, რომელიც უშუალოდ მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის დადებულ სახელშეკრულებო პირობების რეგულაციებს განსაზღვრავს. გერმანამ არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსში კონკრეტული ნორმები განამტკიცა, არამედ

შესაბამისი სასამართლო პრაქტიკაც დაამკვიდრა იმისთვის, რომ სახელმწიფოს ზუსტად შეესრულებინა ეს ვალდებულება, რომელიც მას ჰქონდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასპექტში. კეროდ ერთ-ერთ საქმეზე, ახალგაზრდა წყვილმა შეიძინა ავეჯი მაღაზიაში, რომლებშიც ხდებოდა ფასდაკლებით ნივთების გაყიდვა. პირველ ეტაპზე წყვილმა გადაიხადა მხოლოდ თანხის ნაწილი, თუმცა ავეჯის სახლში წაღების შემდგომ აღმოჩნდა, რომ ავეჯი იყო დაზიანებული და მათ უარი თქვეს დარჩენილი თანხის გადახდაზე, ვიდრე არ შეკეთდებოდა ავეჯი. აღნიშნული მაღაზიის მიერ განსაზღვრული არსებითი პირობების საფუძველზე, თავად მაღაზია ვერ შეაკეთებდა მოცემულ ავეჯს მისი ფუნქციებიდან გამომდინარე. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ერთადერთი უფლება, რომლის გამოყენებაც საჭირო იყო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების თვალსაზრისით ვერ განხორციელდებოდა ფაქტობრივად, შესაბამისად, მხარეებს უნდა ჰქონოდათ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ავეჯის დაბრუნების უფლება, ვინაიდან მიუხედავად ვალდებულების არსებობისა გამყიდველი ფაქტობრივად ვერ შეძლებდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 29 ნოემბერს, ქართული მხარის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველოს მხარემ აიღო პასუხისმგებლობა საკუთარი კანონმდებლობა ჰარმონიზაციაში მოეყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მათ შორის მოცემული დირექტივა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში უნდა ასახულიყო ხელშეკრულების ხელმოწევიდან ხუთი წლის ვადაში.

დირექტივის პირველივე მუხლი განსაზღვრავს მის უშუალო მიზანს- იმგვარი რეგულაციების შემნას წევრ სახელმწიფოებში, რომლებიც აღმოფხვრის უსამართლო სტანდარტული პირობების ჩადებას ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული მიმწოდებელს/გამყიდველსა და მომხმარებელს შორის. ამასთანავე, როგორც დირექტივის მიმოხილვით ნაწილშია აღნიშნული, მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის დაცვის ძირითად საწყისს, ვინაიდან აღნიშნული ბერკეტების დაწესებით სახელმწიფო, ერთის მხრივ, ასრულებს პოზიტიტიური ვალდებულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებასა და ამავდროულად ქმნის სახელმწიფოს მიერ მსგავსი “სერვისების” კონტროლის მსუბუქ მექანიზმს.

დირექტივა 93/13/EEC -ხელშეკრულების პირობების ბოროტად გამოყენების აკრძალვის შესახებ განმარტავს ხელშეკრულების სუბიექტებს:

-გამყიდველი/მიმწოდებელი-ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიული ინტერესების ფარგლებში.

-მომხმარებელი-ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს ან პროფესიული მიზნების მიღმა.

განვიხილოთ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ევროკავშირის დირექტივა 93/13/EEC -ის მიერ დადგენილ სტანდარტებს ერთი მხრივ გერმანული, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები, ვინაიდან, როგორც ვიცით, ქართული სამოქალაქო კოდექსი სწორედ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის გავლენითაა შექმნილი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, როგორც უკვე აღვნიშნეთ 2002 წლის რეფორმის შედეგად სპეციალური კანონიდან სტანდარტული პირობების მარეგულირებელი ნორმები ინკორპორირდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (Bürgerlichen Gesetzbuch). კოდექსის 305-310 მუხლები სწორედ აღნიშნულ საკითხს არეგულირებს.

უშუალოდ სტანდარტული პირობების ცნება გერმანულ და ქართულ კანონმდებლობაში იდენტურადაა ჩამოყალიბებული, კერძოდ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იარის ნინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცდებით წესების დადგენა. ანალოგიურად რეგულირდება დათქმა სტანდარტული პირობების ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბების შესახებ მათი ხელშეკრულების ნაწილილად მიჩნევა და სხვა, ნაწილობრივი განსხვავება შეიმჩნევა ბათილობასთან დაკავშირებით, კერძოდ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 307-ე მუხლი ძირითადად ეხება ხელშეკრულების შინაარსის გონივრულობის შემოწმებას და განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა ალტერნატიულად არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში განსაზღვრული სტანდარტული პირობა სამართლებრივი ძალის არ მქონეა-ბათილია.

1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობა არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს;

2. ხელშეკრულებაში მოცემული პირობა არ არის განჭვრეტადი-მხარისთვის ბუნდოვანია პირობის არსი;

3. დავის შემთხვევაში ივარაუდება მხარის მგდომარეობის შეუსაბამოდ გაუარესება;

4. ზღუდავს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;

5. საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას;

აღნიშნულ დანაწესები მოქმედებს მხოლოდ იმ პირობებთან, რომლებიც მოიცავს კანონისგან განსხვავებულ ან მათ შემცდებ მოწესრიგებას. კერძო სამართალში მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი რაც იმას გულისხმობს, რომ მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებაში განსაზღვრონ ე.წ შემცდები ნორმები, რომლებიც კანონით არ არის დადგენილი, თუმცა ამავდროულად არ არის აკრძალული. რაც შეეხება ე.წ უსამართო არსებით პირობებს, დირექტივის მე-3 მუხლი განმარტავს აღნიშნულ ცნებას და

ადგენს საბუძვლებს, რომელიც აცხადებს მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებს ბათილად.

ხელშეკრულებაში განსაზღვრული სტანდარტული პირობა რომელიც მხარის მიერ ინდივიდუალურად გაცნობის შედეგად არ არის მიღებული, ბათილად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ წარმოშობს მკვეთრ დისბალანსს მხარეთა შორის, ხელშეკრულების დადების შემდგომ წარმოშობილი უფლებამოვალეობების თვალსაზრისით.

ინდივიდუალური მოლაპარაკების გარეშე მიღებულ პირობად ითვლება პირობა, რომელიც ნინასწარი იყო ფორმულირებული და მხარეს ჰქონდა მისი გაცნობის შესაძლებლობაც, თუმცა განცობის მიუხედავად მისთვის გაუგებარი იყო პირობის არსი. იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ან მიმწოდებელი ამბობს, რომ სტანდარტული პირობა იყო ინდივიდუალური მოლაპარაკების შედეგად განსაზღვრული, მიუხედავად ხელშეკრულების სახეზე არსებობისა, მტკიცების ტვირთი არის მაინც მიმწოდებელზე/გამყიდველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლები განსაზღვრავს სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძვლებს. მოცემული მუხლები არ შეიცავს დირექტივით დასახელებულ ორი პირობიდან არცერთს, თუმცა გარიგების თავში დადგენილი ზოგადი ნორმები არსეგულირებს ზოგადად გარიგების ბათილობის საფუძვლებს.

სსკ-ს 53-ე მუხლი ადგენს გარიგების ბათილობას მისი შინაარსის დაუდგენლობის გამო.

განსხვავებით დირექტივისაგან კოდექსი ადგენს ზოგადად გარიგების ბათილობის საკითხს და არა ცაკეულადკონკრეტული სტანდარტული პირობისა, თუმცა სსკ-ის 62-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს დადონ გარიგება, რომლის მხოლოდ ნაწილი გაბათილდა და მისი ბათილობაარ ინვევს სხვა ნაწილების ბათილობას.

6. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები-ქართული სასამართლო პრაქტიკა

კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნითა და აღნიშნულ რეგლამენტზე დაყრდნობით ევროპასთან ინტერგაციის კომიტეტმა მოამზადა კანონმპროექტი, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ქმნიდა ახალ- მომხმარებელთა ომბუტსმენის ინსტიტუტს კანონის პროექტის III თავი ეხება „მომხმარებელთა ომბუტსმენს“ და მოიცავს ომბუტსმენის საქმიანობის ჩამონათვალს, მის უფლებებს სასამართლოში მიმართვისას და კვლევისა და ანალიტიკური საქმიანობის შესაძლებლობას, რომლის დროსაც მას შეუძლია შეიმუშაოს რეკომენდაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. ასევე კანონპროექტი განსაზღვრავდა მომხმარებელთა ომბუტსმენის ვალდებულებას წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ინფორმაცია საქართ-

ველოში ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული კანონმდებლობით პარლამენტმა არ დაამტკიცა, რამდენიმე განმარტების საფუძველზე, ზოგადი უფლებების ნაწილი კანონი განმარტავდა ფუნდამენტურ, კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს, რაზეც პარლამენტმა თქვა, რომ არალოგიკური იქნებოდა კონსტიტუციური ნორმის მოცემულ კანონში განმტკიცება, გარდა ამისა კანონის რიგ ნორმებს გააჩნდა ე.წ სამართლებრივი ტავტოლოგია, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი ისედაც ანალოგიური სახით არეგულირებდა მოცემულ დებულებებს. რიგი ნორმები შეიცავდა ბუნდოვან, არაგანჭვრეტად კონცეფციებს.

დღესდღეობით გვაქვს იმგვარი რეალობა, რომ საქართველოში არ არსებობს კანონი მომხმარებელთა უფლებათა დაცვის შესახებ, შესაბამისად, არ არსებობს არანაირი სამართლებრივი აქტი, რომელიც სპეციალური მონესრიგების სახით დაიცავს ომხმარებელთა უფლებებს. შესაბამისად უდიდესი პრობლემა ამ ეტაპზე შესაბამისი კანონმდებლობის არქონა, რომელიც გააჩნია ევროკავშირის წევრს თითოეულ ქვეყანას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გადაწყვეტილებების განხილვა, რომელიც წარმოადგენს შექმნის ძირითად სტანდარტსა და პრობლემატურ ასპექტებზე, რომლებიც არსებობს მოცემულ ასპექტში.

ერთ-ერთ საკმეზე მაღაზია “აიფონ+-ის” წინააღმდეგ აღმოჩნდა, რომ მაღაზია ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად დებდა დაზიანებულ მობილურზე საგარანტიო ბარათის გავრცელების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იყო მობილური ტელეფონის საიდენტიფიკაციო ნომრის დადგენა. აღნიშნულის დასადაგნად აუცილებელი იყო მობილურის ჩართვა, რაც შეუძლებელი იყო მობილურის დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, შესაბამისად, მოსარჩევეები ითხოვნენ მოცემული სტანდარტული პირობის ბათილად ცნობას, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ მოცემული პირობა უპირატესობას ანიჭებდა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობათა განმსაზღვრელ მხარეს. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი.

ზოგადი მაჩვენებლები მომხმარებელთა უფლებების დარღვევა მოცემულ კონტექსტში ყველაზე ხშირია ტექნიკის შეძენასთან დაკავშირებით და პრობლემები ძირითადად ანალოგიურია უცხოური პრაქტიკისა, რის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ- მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობებზე გაცნობის გარეშე ხელმოწერა ან მიუხედავად გაცნობისა ნორმის ბუნდოვანების გამო მასზე ხელმოწერა.

5. დასკვნა

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის საფუძველზე მიმართებით ქართულ კანონმდებლობაში არ მოიძებნება სასამართლო

პრაქტიკა. ამას ისიც განაპირობებს, რომ მოცემული ნორმა ახალია ქართული რეალობისათვის და ჯერ-ჯერობით ადაპტაციის პროცესშია.

კვლევის შედეგად, რეკომენდაციის სახით, შეიძლება იმის შეთავაზება, რომ სამოქალაქო კოდექსის 347-ე და 348-ე მუხლებში არსებული ბათილობის საფუძველები გადაჯგუფდეს ისეთი თემატიკით, რომელიც მოცემულ ნაშრომშია წარმოდგენილი.

ბიბლიოგრაფია

სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
3. ევროსაბჭოს დირექტივა 93/13/EEC მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ქ. ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ სახელმწიფოში, თბილისი, 2013;
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარები
2. ზ. ძლიერიშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Duncan Kennedy, Distributive and Paternalist Motives in Contract and Tort Law, with Special Reference to 2. Compulsory Terms and Unequal Bargaining Power, 41 Md Law Revie, 1982
3. W. David Slawson, Standard Form Contracts and Democratic Control of Lawmaking Power, Harvard Law Review, 1971
4. Aethur Leff, Unconscionability and the Code The Emperor's New Clause, 2003
5. Russell Korobkin, “Bounded Rationality, Standard Form Contracts, and Unconscionability”, The University of Chicago Law Review, 2003
6. BGHZ 2, 90; Nigel G. Foster/ Statish Sule, German Legal System & Laws, Oxford, 2002